

პრეპარატის გამოყენების ინსტრუქცია

სეპტალორ

SEPTALOR



სამკურნალო პრეპარატის შემადგენლობა :

მოქმედი ნივთიერებები: chlorhexidine/ascorbic acid;

1 ტაბლეტი შეიცავს: დიჰიდროქლორიდის ქლორგექსიდინი (გადათვლით 100% მშრალ ნივთიერებაზე) 5მგ, ასკორბინის მჟავა 50მგ;

დამხმარე ნივთიერებები: საკონდიტრო შაქარი, პოვიდონი, მაგნიუმის სტეარატი, ტალკი, ტარტრაზინი (E 102), პონსო 4R (E 124), არომატიზორი “ხილის ასორტი” (შეიცავს პროპოლენგლიკოლს).

წამლის ფორმა: ტაბლეტები პირის ღრუში გამოყენებისათვის

ტაბლეტები ვარდისფერი-ფორთოხლისფერი, დაწინწკლული, დასაშვებია ლაქები ინტენსიური შეფერილობით, ბრტყელცილინდრიანი ნაზოლით. შენახვის პროცესში შესაძლოა ფერის ცვლილება ვარდისფერი-ფორთოხლისფერიდან მუქი-სტაფილოსფერამდე.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი : ანტისეპტიკური და ვიტამინის პრეპარატი, კოდი ATC R02A A05

სეპტალორ - კომბინირებული პრეპარატი, რომელიც შედგება 2 კომპონენტისაგან. ქლორგექსიდინი ახდენს ანტიბაქტერიულ მოქმედებას ბაქტერიების უჯრედოვანი მემბრანის ფოსფოლიპიდებთან არასპეციფიკური დაკავშირების გზით, სადაც ქლორგექსიდინი ანელებს დეჰიდროგენაზის და ატფ-აზის აქტიურობას და არღვევს მემბრანის შეღწევადობას კალიუმისათვის, ნუკლეოტიდებისათვის და ამინომჟავებისათვის.

ქლორგექსიდინი მოქმედებს, როგორც ბაქტერიოსტატიკური პრეპარატი დაბალი კონცენტრაციებით (20 მგ/ლ-ზე ნაკლები) და როგორც ბაქტერიოციდული პრეპარატი მარალი კონცენტრაციებით. მისი მოქმედება ძირითადად მიმართულია გრამდადებითი მიკროორგანიზმების და *Candida albicans*-ის, ხოლოდაკლები დონით - გრამუარყოფითი მიკროორგანიზმებისწინააღმდეგ. ქლორგექსიდინი განსაკუთრებით ეფექტურია *Streptococcus mutans*, *Streptococcus salvarius*, *Escherichia coli*, *Selenomonas*, ანაერობულიბაქტერიების და *Candida albicans*-ის წინააღმდეგ. ნაკლებად ეფექტურია *Streptococcus sanquis*, *Proteus*, *Pseudomonas*, *Klebsiella* და *Veillonella species*-ების წინააღმდეგ.

ასკორბინის მჟავა ამცირებს ანთებას და პირისა და საყლაპავი მილის ლორწოვანი გარსის შეშუპებას, აძლიერებს იმუნურ პასუხს და მოქმედებს, როგორც კოფაქტორი კოლაგენისა და ქსოვილების რეგენერაციის სინთეზში.

ქლორგექსიდინი პრაქტიკულად არ აბსორბირდება ლორწოვანი გარსიდან და კანიდან. შეწოვისას ქლორჰექსიდინი თანდათანობით ტაბლეტიდან გადადის ნერწყვში და უკავშირდება პირის ღრუსა და ენის ლორწოვან გარსს, რის შემდეგაც ისევ ხვდება ნერწყვში, სადაც ვლინდება მისი ანტიბაქტერიული ქმედება. ქლორგექსიდინი შეგიძლიათ გადაყლაპოთ ნერწყვთან ერთად, თუმცა მისი აბსორბცია კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ძალიან დაბალია. ქლორჰექსიდინი უმნიშვნელოდ მეტაბოლიზირდება ღვიძლში და გამოიყოფა ნაღველთან ერთად ნაწლავების საშუალებით. ჩვეულებისამებრ ქლორგექსიდინის 90% გამოიდევენება უცვლელ მდგომარეობაში განავალთან ერთად.

ქლორჰექსიდინის კონცენტრაცია ორგანიზმის გარემოში იზომება მარალეფექტური თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდით მგრძნობელობით 1მგ/ლ-მდე.

ასკორბინის მჟავა კარგად აბსორბირდება კუჭის მომწელებელი ტრაქტიდან. მისი პლაზმის ცილებთანდაკავშირების დონე შეადგენს დაახლოებით 25%-ს. ასკორბინის მჟავა მეტაბოლიზირდება დიჰიდროასკორბინისა და მჟაუნამჟავამდე, ძირითადად გამოიდევენება შარდთან ერთად.

მითითებები გამოყენებისათვის :

ყელისა დასაყლაპავი მილის ლორწოვანი გარსის ანთებისსიმპტომების ადგილობრივი მკურნალობა.

უკუჩვენებები :

ჰიპერმგრძობელობა ქლორჰექსიდინისა და პრეპარატის სხვა კომპონენტების მიმართ.

გამოყენებისას უსაფრთხოების სათანადო ზომები :

პრეპარატი შეიცავს სდაკონდიტრო შაქარს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს შაქრიანი დიაბეტით, ფრუქტოზის აუტანლობით დაავადებულთა მიერ, ასევე გლუკოზა-გალაქტოზის მალაბსორციის სინდრომით და კარიესისადმი მიდრეკილების მქონე პაციენტთა მიერ.

სეპტალორის გამოყენებას შეუძლია დროებით შეცვალოს გემოს შეგრძნებები, მაგრამ პრეპარატის მიღებიდან 4 საათის განმავლობაში გემოს შეგრძნება სრულად აღდგება. პრეპარატის მიღება რეკომენდირებულია საკვების მიღების შემდეგ.

სეპტალორის ხანგრძლივ გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს კბილებისა და ენის უმნიშვნელო, დროებითი შეფერადება, მაგრამ ეს მოვლენები ქრება პრეპარატის შეწყვეტის შემდეგ ან მათი მოცილებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს ექიმის კონსულტაცია.

ხანდახან პაციენტები საკვების მომწელებელი ტრაქტის და/ან ღვიძლის დაავადებებით შეიძლება უჩიოდნენ გულისრევას, ღებინებას და ბოყინს. ამ სიმპტომების გაჩენისას პრეპარატის მიღება უნდა შეწყვიტოთ.

განსაკუთრებული გაფრთხილება

გამოყენება ორსულობის ან ძუძუთი კვების პერიოდში

გამოკვლევები ქლორჰექსიდინის ზემოქმედების შესწავლასთან დაკავშირებით ორსულობის დროს ჩატარებული არ არის. ორსულმა უნდა მიიღოს ექიმის კონსულტაცია სეპტალორის[®] მიღებამდე.

რეაქციის სიჩქარეზე ზემოქმედების უნარი ავტოტრანსპორტის მართვის ან სხვა მექანიზმებთან მუშაობის დროს. ზემოქმედებას არ ახდენს.

ბავშვები: არ უნდა იყოს მიღებული 12 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ

გამოყენების მეთოდი და დოზები: 12 წელზე ზემოთ ასაკის ბავშვებსა და დიდებს უნიშნავენ 1 ტაბლეტს დღელამეში 4-ჯერ (ყოველ 6 საათში).

ტაბლეტი ნელა უნდა წუწნოთ. სეპტალორს იღებენ საკვების მიღებისა და კბილების გაწმენდის შემდეგ. არ არის რეკომენდირებული პირის გამოვლება და ბევრი სითხის დალევა ტაბლეტის მიღებიდან ორი საათის განმავლობაში. მკურნალობის კურსის საშუალო ხანგრძლივობაა 5-7 დღე; არ უნდა მიიღოთ პრეპარატი 14 დღეზე მეტხანს.

დოზის გადაჭარბება

ქლორჰექსინი პრაქტიკულად არ აბსორბირდება საჭმლის მომწელებელი ტრაქტიდან, ამიტომ დოზის გადაჭარბება ნაკლებად შესაძლებელია. პრეპარატის დოზის შესაძლო გადაჭარბების შემთხვევაში აუცილებელია კლინიკური გამოკვლევა და სიმპტომური მკურნალობა.

გვერდითი ეფექტები

იშვიათად გვხვდება ალერგიული (ცხვირის დაგუბება, გამონაყარი კანზე, პირის ლორწოვანი გარსის აქერცვლა და ყურის ჯირკვლების შეშუპება); გემოს შეგრძნების შეცვლა, კბილის ნადების მომატება, ფერის ცვლილება (ყავისფერი ლაქები) კბილებზე, პლომბებსა და კბილის პტოტეზებზე, პირის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება ან ანთება, კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება და დიარეა, გულისრევა, ღებინება, ბოყინი.

სამკურნალო საშუალება შეიცავს პონსო 4R, რამაც შეიძლება განაპირობოს ალერგიული რეაქციების წარმოშობა.



ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან და ურთიერთქმედების სხვა სახეები
არ არსებობს შეტყობინებები სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედების შემთხვევების შესახებ.
არ არის რეკომენდირებული იოდის პრეპარატებთან ერთდროულად მიღება

ვარგისობის ვადა: 3 წელი

შენახვის პირობები: ინახება ორიგინალურ შეფუთვაში, არაუმეტეს 25°C - ტემპერატურაზე,
შეინახეთ ბავშვებისაგან მიუწვდომელ ადგილას!

შეფუთვა: ტაბლეტები №20 (10X2) ბლისტერებში.

გაცემის წესი:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III ჯგუფი, გაიცემა რეცეპტის გარეშე

მწარმოებლის დასახელება და ადგილმდებარეობა

შპს „ტერნოფარმი“

უკრაინა, ქ.ტერნოპოლი, ფაბრიჩნაიასქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, www.ternopharm.com.ua.

